netgazeti.ge

დევიდ ლინჩი ქართველ სამხედროებს შეხვდა

ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი წეროვანის სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაციის ცენტრს ესტუმრა და საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეჟისორმა სამხედროებს ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც დაშავებული სამხედროების მხარდაჭერასაც ითვალისწინებს.

დევიდ ლინჩის ფონდი 2005 წელს აშშ-ში თავად რეჟისორმა დააარსა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში ფუნქციონირებს. საქართველოში ფონდი 2017 წლის ივლისში დაფუძნდა.

დევიდ ლინჩის ვიზიტი ფონდის საქართველოში დაარსებას უკავშირდება. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია დევიდ ლინჩის სახელობის ამერიკული უნივერსიტეტისა და A კლასის კინოფესტივალის დაარსება და TM (ტრანსცენდენტალური მედიტაციის) პროგრამის მეშვეობით ტრავმული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

DAVID LYNCH MET WITH THE GEORGIAN MILITARIES

David Lynch visited Tserovani Rehabilitation Center. The American film director and the founder of the Foundation met with the militaries wounded and injured in the combats for the territorial integrity of Georgia and Peace Missions.

David Lynch Foundation was founded in USA in 2005 by David Lynch himself. The main branches are located in USA, Great Britain, France and Ukraine. The representation in Georgia was founded in July of 2017.

David Lynch's visit is related to the establishment of the Foundationin Georgia. The main purposes of the foundation are establishment of David Lynch American University and A class film festival, as well as psychological rehabilitation of people with post-traumatic stress disorder by means of Transcendental Meditation.